პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ, профкома и местнома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 17 (153)	ოთხშაბათი, 13 ივნისი, 1956 წ. გამოცემის მეხუთე წელი	ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის საშუალო სკოლების, საშუალო სპეციალური სკოლების უფროს კლასებში და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ფულის გაუქმების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებისა და ახალგაზრდობის მიერ უმაღლესი განათლების მიღების ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით 1956 წლის 1 სექტემბრიდან გაუქმდეს სწავლის ფული სსრ კავშირის საშუალო სკოლების უფროს კლასებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში.

ისინი მთელი წლის მანძილზე მეცადინეობდნენ

ჩვენს უნივერსიტეტში ბევრი ისეთი ჯგუფია, სადაც ლექტორის უხარია შესვლა. ხედავ, რომ გისმენს მეცნიერებას მოწყურებული ახალგაზრდობა, უნივერსიტეტი მათთვის გამხდარა მასაზრდოებელი დედა, მეცნიერული საზრდოს მიმცემი.

ერთ-ერთი ასეთთაგანია ფილოლოგიის ფაკულტეტის I კურსის I ჯგუფის კოლექტივი. მათ დაძლიეს ცუდი სტუდენტური ტრადიცია, საგნის მომზადებას მხოლოდ გამოცდების წინა დღეებში რომ ჰკიდებენ ხელს. ისინი წლის განმავლობაში მეცადინეობენ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. შედეგიც ბრწყინვალეა.

ჯგუფის 26 სტუდენტის ჩათვლის წიგნაკებში დასახელებულ საგანში 8 ივნისს ჩატარებულ გამოცდაზე 11 „ფრიადი", 11 „კარგი" და მხოლოდ 2 „არადამაკმაყოფილებელი" შეფასება დაიწერა. მაგრამ ნუ გამოვეკიდებით ციფრებს. ვილაპარაკოთ კონკრეტულ ფაქტებზე, ადამიანებზეაი, გამოცდაზეა. პირველ ჯგუფელი, კომკავშირის საფაკულტეტო ბიუროს წევრი ალექსანდრე ალექსიძე. არ მოგწყინდება მისი პასუხის მოსმენა... შედეგი, რა თქმა უნდა, — ფრიადი! ა. ალექსიძე სხვა მხრივაც სანიმუშო სტუდენტია, მას არცერთი გაცდენა არა აქვს, ყოველ შემთხვევაში, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. იგი სისტემატურად ამზადებს პრაქტიკუმებსა და სემინარებზე მიცემულ თემებს. უხარია, რომ რთულ საკითხებს ეკითხები. მან კარგად განმარტა ჰილიაიზმი, ესქატოლოგია... მათი გამოძახილი ძველს ქართულ მწერლობაში...

გამოცდაზე პირველი გამოვიდა ჯგუფხელი ლამარა კიწურაშვილი. ამ კომკავშირელ გოგონას თამამად შეიძლება ეწოდოს ჩვენი უნივერსიტეტის საუცხოო ჯგუფხელი. სიტყვაც კი ძნელია გამოინახოს მისი, როგორც სტუდენტი-მოსწავლის დასახასიათებლად. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ლამარას არ შეესრულებინოს დავალება. იგი სრულიადაც არა ჰგავს ისეთ სტუდენტებს, რომლებიც ერთხელ მოამზადებენ სასემინარო თემას და ამით ამოწურავენ თავის მოღვაწეობას.

ძველი ქართული მწერლობის ტექსტებისა და სამეცნიერო პრობლემების ღრმა ცოდნა გამოამჟღავნეს ამ ჯგუფის სტუდენტებმა ელგუჯა ხინთიბიძემ, ბაჩანა ბრეგვაძემ, რევაზ ნაჰყეპიამ, რუსუდან ჯანაშიამ და ბევრმა სხვ.

პირველჯგუფელებმა წარმატება მოიპოვეს პირველ საგნში. იმედია, ისინი ასეთივე წარმატებით ჩააბარებენ დანარჩენ საგამოცდო საგნებსაც.

დოც. ტრ. რუხაძე

სურათზე: სახელმწიფო გამოცდა რუსულ ენაში ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე.

უნივერსიტეტს ამთავრებენ

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე დროზე და ორგანიზებულად დაიწყო სახელმწიფო გამოცდები. აღნიშნული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა პირველი გამოცდა ფრანგულის, ინგლისურისა და გერმანულ ენებში ჩააბარეს.

გამოცდებზე მაღალი ცოდნა გამოიჩინეს და „ფრიადები" მიიღეს ფრიადოსნებმა სტუდენტებმა: ფრანგულ ენაში — დ. მანძურაშვილმა, ნ. კახიძემ, ვ. ჟუჟუნაშვილმა, გ. გურასპაშვილმა, დ. სიხუაშვილმა, ლ. გოგელიამ და სხვ. გერმანულ ენაში — ქ. ჯაფარიძემ, ლ. ხევსურიანმა, ა. ჯორბენაძემ, გ. კობახიძემ, ე. ლომაძემ და სხვ. ინგლისურ ენაში — ლ. პაქსაშვილმა, ც. ჯაშმა, ნ. ხავთარელიძემ, ნ. დამბაშიძემ, თ. იმნაიშვილმა, ფ. ჰანტურიამ და სხვ.

სურათზე: დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ სტუდენტთა ერთი ჯგუფი სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების შემდეგ.

მომზადებული შეხვდნენ

ქიმიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტების ერთმა ნაწილმა 1-2 ივნისს ჩააბარა რაოდენობითი ანალიზი.

ამ საგანში ლექციები ერთი სემესტრის განმავლობაში იკითხებოდა (ლექტორი დოც. ივ. გვერდწითელი), ამასთან, სტუდენტებს უტარდებოდათ ლაბორატორიული სამუშაოები კვირაში 12 საათის რაოდენობით. კეთილმოწყობილ ლაბორატორიებში ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ საჭირო კონსულტაციების გაწევით, რაც მათ სრულ შესაძლებლობას აძლევდა, საფუძვლიანად დაუფლებოდნენ საგანს.

უდავოდ ამის შედეგია, რომ 1 ივნისს გამოცდაზე გასული 20 სტუდენტიდან 17-მა „ფრიადი" მიიღო, ხოლო სამმა — „კარგი". ასევე მაღალი შეფასება დაიმსახურა ამ საგანში 2 ივნისს 11 სტუდენტმა. გამოცდაზე საგნის განსაკუთრებით კარგი და ღრმა ცოდნა გამოამჟღავნეს სტუდენტებმა — რ. ჯანელიძემ, ნ. სანიკიძემ, ც. თურმანიძემ, მ. პეირახოვამ, თ. ხმელნიცკაიამ.

ამ საგანში გამოცდები გრძელდება.

1 ივნისს ქიმიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტებმაც ისახელეს თავი. ისინი გამოცდას უცხო ენებში აბარებდნენ (გამომცდელები: დოც. ნ. ცაგარელი, ლ. მადური, ლ. მეძმარიაშვილი). ამ დღეს უცხო ენაში 28 სტუდენტი გამოიცადა და მათგან 27-მა „ფრიადი" მიიღო. მხოლოდ 1 სტუდენტის ცოდნა შეფასდა „კარგზე".

პირველი წარმატებები უნდა განვამტკიცოთ.

45-ე ხუთიანი

ფართო პერსპექტივებით და ლამაზი ოცნებებით შემოვიდა გერონდეხტ ფხაკაძე ისტორიის ფაკულტეტზე. ოქროს მედალი, რომლითაც იგი წარჩინებული სწავლისათვის დააჯილდოვეს, ბევრ რამეს ავალებდა ნიჭიერ გოგონას.

მან უნივერსიტეტშიც მუყაითად განაგრძო სწავლა. შრომამ ნაყოფი გამოიღო. იგი ყოველ სემესტრში, ყველა საგანში ხუთებს იღებდა. მის ჩათვლის წიგნაკში უკვე ორმოცდაოთხი ხუთიანია.

კარგ სწავლას ადვილად ეთავსებდა გერონდეხტი საზოგადოებრივ მუშაობას. ამასთან, იგი სამეცნიერო მუშაობასაც ასწრებდა — აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში.

შრომა აქაც დაფასდა. 1954 წლის სექტემბრიდან იგი აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სტიპენდიანტია. ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ კი რეკომენდაცია მისცა გამოცდები ჩაებარის ასპირანტურაში შესასვლელად.

სახელმწიფო გამოცდებისათვის ჩვეული სიბეჯითით მოემზადა გერონდეხტი. სპეციალური საგანი — საქართველოს ისტორია მან ხუთზე ჩააბარა. ეს ორმოცდამეხუთე ხუთიანია, რომელიც მან უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მიიღო. ახლა იგი სერიოზულად ემზადება, რათა წარმატებით ჩააბაროს გამოცდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში.

ლ. კოზბახიძე

ერთმანეთით კმაყოფილი დავრჩით

კარგია როცა შენთვის საინტერესო საგანს კარგი ლექტორი კითხულობს. შეიძლება შემომედავონ, არ არსებობენ არაინტერესო საგნები, მაგრამ ყველა საგანი ხომ ერთნაირად არ იზიდავს ყველას და ყველა ლექტორიც ხომ ერთნაირი პედაგოგიური მიდგომით არ კითხულობს ლექციას — ლექტორზე ბევრი რამაა დამოკიდებული, მას შეუძლია საგნისადმი ინტერესი გაუღვივოს სტუდენტს.

სწორედ ასე მოგვივიდა მეორე კურსზე ჟურნალისტებს. ყველასათვის გასაგებია, როგორ ვიქნებოდით ჩვენ შეყვარებულნი მშობლიურ ენაზე. ნატვრაც აგვისრულდა და ამ საგნის წაკითხვა დოცენტმა ივანე ქავთარაძემ დაიწყო.

მისმა შინაარსიანმა ლექციებმა და ჩვენდამი გულთბილმა დამოკიდებულებამ კიდევ უფრო შეგვაყვარა სტუდენტებს მშობლიური ენის გრამატიკა. ორი წლის მანძილზე შევიძინეთ ბევრი რამ ახალი და ჩვენთვის აუცილებელი. და აი, მიმდინარე სესიაზე, 8 ივნისს, გამოცდა გვქონდა ქართულ ენაში. ამ გამოცდაზე უნდა გამორკვეულიყო ჩვენი ორი წლის მუშაობის შედეგი და, მართლაც, ყველა სტუდენტი კარგად მომზადებული შეხვდა მას.

მედეა ცქიტიშვილი, ზურაბ სხვედიანი, არმაზ სანებლიძე, გივი შეყრილაძე, თენგიზ ჩხაიძე პრაქტიკულ მეცადინეობებზე ყოველთვის მომზადებულნი ცხადდებოდნენ. მათ არც ახლა შეირცხვინეს თავი. დოც. ივ. ქავთარაძემ მათ მატრიკულებში „ფრიადები" ჩაწერა. „ფრიადი" შეფასება მიიღეს სხვებმაც.

გამოცდაზე არავის არ მიუღია დაბალი ნიშანი. უბრხეულიც იყო მოუმზადებელი წარმდგარიყავით ამ კაცის წინაშე, რომელიც ჩვენთვის არც ცოდნას, და არც ენერგიას არ იშურებდა.

გამოცდის დამთავრების შემდეგ სტუდენტები გამოვეთხოვეთ დოც. ივ. ქავთარაძეს. იგი კმაყოფილი დარჩა ჩვენი მუშაობით, ხოლო ჩვენ — მისით უფრო მეტად.

ვ. გოგოლაშვილი

ამჟღავნებენ საგნის საფუძვლიან ცოდნას

რამდენიმე დღეა, რაც ჩვენს უნივერსიტეტში დაიწყო სახელმწიფო გამოცდები. თასზე მეტ მომავალ ახალგაზრდა სპეციალისტთა შორის სახელმწიფო გამოცდებისათვის მთელი ენერგიით ემზადებოდა ბიოლოგიის ფაკულტეტის V კურსის 61 სტუდენტი.

7 ივნისს ბიოლოგიის ფაკულტეტის V კურსის ბოტანიკის სპეციალობის ჯგუფს გამოცდა ჰქონდა სპეციალურ საგანში. უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფის სტუდენტთა დიდმა უმრავლესობამ გამოამჟღავნა საგნის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 25 სტუდენტიდან „ფრიადი" შეფასება დაიმსახურა 12-მა, „კარგი" — რვამ და „დამაკმაყოფილებელი" — ხუთმა სტუდენტმა.

საგნის ღრმა ცოდნით სახელმწიფო საგამოცდო კომისიის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურეს ციმი რიაშვილმა, ანკარა ლაშხმა, გიორგი ნახუცრიშვილმა, მანანა ძლენტმა, გრიგოლ საგინაძემ, ნანა ლევშინავამ, გურანდა ღვალაძემ და სხვ. მათი პასუხებიდან ჩანდა, რომ საფუძვლიანად დაუფლებიათ როგორც ძირითადი სახელმძღვანელო, ისე დამხმარე ლიტერატურაც.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თავისთავად ცუდი არ არის, როდესაც 25 სტუდენტიდან 20 იმსახურებს „ფრიადსა" და „კარგ" შეფასებას და მხოლოდ ხუთი — „დამაკმაყოფილებელს" (ნ. ქოქრაშვილი, ნ. მელიძე, გ. ანკვაბი, ზ. ბრეგვაძე, ე. გოირგობიანი), მაგრამ ამ ამხანაგებსაც რომ მეტი მონდომებითა და ენერგიით ემუშავნათ კურსდამთავრებულთა ყველაზე საპასუხისმგებლო ამოცანის — სახელმწიფო გამოცდების წარმატებით ჩაბარებისათვის, ამით კიდევ უფრო განამტკიცებდნენ ბიოლოგიის ფაკულტეტის სახელოვანი კოლექტივის წარმატებებს მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მიღწევის საქმეში.

შ. კარაპეტოვი

საჭიროა მეტი მომთხოვნელობა

საბჭოთა ხალხის მზრუნველობით გარემოცულ ჩვენს სტუდენტობას მეცნიერების დაუფლების ყველა პირობა აქვს შექმნილი. გამოცდების პირველმა დღეებმა გვიჩვენა, რომ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა უმრავლესობას ამ ზრუნვისათვის ენერგიული შრომით უპასუხნია და საქმეს სრული პასუხისმგებლობით მოჰკიდებია.

კარგი მომზადებით წარდგნენ გამოცდებზე პოლიტეკონომიაში III და IV კურსის სტუდენტები. დოცენტები ს. ინწკირველი და ო. ლომჯანიძე, პოლიტეკონომიის კათედრის გამგე პროფ. ს. ბერაძესთან ერთად, კმაყოფილებით აღნიშნავენ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა კარგ მომზადებას. განსაკუთრებით ისახელეს თავი IV კურსის სტუდენტებმა: ჯ. გვასალიამ, ი. ბარბაქაძემ, ა. მათიაშვილმა და სხვებმა.

ასევე კარგი წარმატება უჩვენეს გამოცდებზე ძველი მსოფლიოს ისტორიაში (ლექტორი დოც. მ. ალექსიშვილი) I კურსის სტუდენტებმაც ნ. კიღურაძემ, თ. ბერაძემ, თ. ხოფერიამაძემ და სხვებმა, რომლებმაც „ფრიადთან“ ერთად, დოც. მ. ალექსიშვილისაგან ქებაც დაიმსახურეს.

ამასთან, გამოცდების პირველმა დღეებმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთი სტუდენტი საქმეს არასერიოზულად მოჰკიდებია. ამის შედეგად პირველკურსელებმა—ლ. გოცირიძემ, ლ. ქარცივაძემ, დ. ანთაძემ და სხვ. ძველი მსოფლიოს ისტორიაში არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს.

ულაპარაკობთ რა გამოცდების მიმდინარეობის შესახებ, აქვე უნდა შევჩერდეთ ერთ საყურადღებო მოვლენაზე: ჩვენს სინამდვილეში დღეს პროცენტებისადმი გამოდევნებას, რასაც ერთ დროს უნივერსიტეტშიც ჰქონდა ადგილი, არავინ ფიქრობს. ცხადია, ფაკულტეტების მუშაობის შეფასებისადმი ასეთი ხაზოვრივ მიდგომაც ალბათ ახლა აზრად არავის მოუვა. მთავარია ხარისხი. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა დავრწმუნებულიყავით, რომ სტუდენტები მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ იმ ლექტორის საგნისადმი, რომელიც სტუდენტებს მეტ მოთხოვნას უყენებს (მაგ., დოც. მ. ალექსიშვილი, დოც. ს. ინწკირველი და სხვ.). ჩვენ მივესალმებით ისეთ პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც მეტ მომთხოვნელობას იჩენენ, რადგან ამით ისინი შრომას აჩვევენ და აყვარებენ ჩვენს სტუდენტობას, ხელს უწყობენ დისციპლინის განმტკიცების საქმეს.

რაც უფრო დატვირთულია სტუდენტი, მით უფრო ნაკლებად აცდენს იგი ლექციებს, ნაკლებად არღვევს დისციპლინას. მომთხოვნელობის გაზრდა მაღალი აკადემიური წარმატების მიღწევისა და ფაკულტეტზე დისციპლინის განმტკიცების ერთ-ერთი პირობათაგანია. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ლიბერალიზმი ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ დაძლეული არ არის. თუ არა ლიბერალიზმით, რით უნდა აეხსნათ ის ფაქტი, რომ ზოგიერთ საგამოცდო უწყისში 75% „ფრიადია“ და 25% „კარგი“? ნუ თუ ყველა სტუდენტი ერთნაირად სწავლობს?!

ვ. მაჭარაძე,
ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

დაიწყო სახელმწიფო გამოცდები

ფიზიკის ფაკულტეტის რუსული განყოფილების მეხუთეკურსელებმა 2 ივნისს დაიწყეს სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება. პირველ გამოცდას ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში აბარებდნენ. ამ დღეს ჩაწერილი იყო 13 სტუდენტი. გამოცდაზე ყველა გამოცხადდა და ბევრმა მათგანმა ისახელა კიდეც თავი.

5 „ფრიადი“, 7 „კარგი“ და 1 „საშუალო“ — ასეთია გამოცდის შედეგები. სახელმწიფო კომისიის წევრებზე ძალზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გ. ფანცხავას პასუხმა. იგი ხუთი წლის განმავლობაში ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური წარმატებით და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით. ამიტომ იყო, რომ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ მას რეკომენდაცია მისცა — ჩააბაროს მისაღები გამოცდები ასპირანტურაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში წყაროების ღრმა ცოდნა გამოიჩინა აგრეთვე სტუდენტმა ქს. მანდრიცკაიამ. კომისიამ მისი ცოდნაც „ფრიადზე“ შეაფასა.

გამოცდები გრძელდება. მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა ცოდნა ჩვენი ახალგაზრდობის მომავალ პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატებათა საფუძველი იქნება.

ჯგუფი წარმატებით სწავლობს

ეკონომიური ფაკულტეტის საქონელმცოდნეობის სპეციალობის III კურსის სტუდენტები სასწავლო წლის მანძილზე გამოირჩეოდნენ თავიანთი მეცადინეობითა და სიბეჯითით. სისტემატურად ესწრებოდნენ ლექციებს და მომზადებული ცხადდებოდნენ სემინარებზე.

დროის რაციონალურად და შინაარსიანად გამოყენებამ შედეგიც სასურველი გამოიღო. საგამოცდო სესიების პერიოდში გამოცდიდან გამოცდამდე დადგენილი ვადები მათ კარგად გამოიყენეს ჩასაბარებელი საგნების საფუძვლიანი განმეორებისათვის და მაღალ აკადემიურ მაჩვენებლებსაც მიაღწიეს.

ჯგუფის 25 სტუდენტიდან 9 სტუდენტმა ყველა საგანი „ფრიადზე“ ჩააბარა, ხოლო 13 კარგოსანია.

გამოცდების წარმატებით დამთავრების შემდეგ აღნიშნული ჯგუფის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკის გასავლელად „თბილკვებმრეწვავაჭრობისა“ და „იცეკავშირის“ ბაზებს ესტუმრნენ.

პრაქტიკის დაწყების პირველი დღიდანვე სტუდენტები მთელი პასუხისმგებლობით და სერიოზულობით შეუდგნენ პრაქტიკის პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებზე მუშაობას.

სტუდენტებს საქმიან დახმარებას უწევენ ობიექტებზე პრაქტიკის ხელმძღვანელებად გამოყოფილი პირები—„თბილკვებმრეწვავაჭრობის“ თანამშრომელი ა. ბარეჩვერ და „იცეკავშირის“ თანამშრომელი ა. კენჭაძე.

სტუდენტები დიდ დაინტერესებას იჩენენ არჩეული სპეციალობის ღრმად დაუფლების საქმეში და მიტომ მთელი გულისყურით ისმენენ მათს საუბრებს, აკეთებენ სხვადასხვა ჩანაწერებს, ადგენენ დღიურებს და სხვა.

ახლა მათ უკვე დაგროვილი აქვთ საჭირო მასალები და ამის საფუძველზე წერენ საწარმოო პრაქტიკის ანგარიშს, რომელიც მათ კათედრაზე უნდა წარადგინონ.

ეს ჯგუფი ყოველმხრივ მისაბაძია.

ვ. ბურჭულაძე,
უფროსი მასწავლებელი.

სტუდენტები გადიან საწარმოო პრაქტიკას

სურათებზე: ეკონომიური ფაკულტეტის საქონელმცოდნეობის სპეციალობის III კურსის ფრიადოსანი სტუდენტები (მარცხნივ) ა. თეთრაული, ფ. ჩიქოგიძე, (მარჯვნივ) ა. ლაშხია, ქ. მიხაილოვა და გ. მოისწრაფიშვილი. ქვემოთ — „იცეკავშირის“ სავაჭრო სამმართველოს უფროსი საქონელმცოდნე ა. ჭოლაძე პრაქტიკანტებთან ატარებს მორიგ მეცადინეობას.

სტუდენტთა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა

სასწავლო პრაქტიკა ერთ-ერთი ფრიად პასუხსაგები და მნიშვნელოვანი უბანია ბიოლოგიის ფაკულტეტის სასწავლო მუშაობაში. სასწავლო პრაქტიკის დროს სტუდენტები ეუფლებიან ფლორისა და ფაუნის კოლექციონირების, დამუშავებისა და რკვევის მეთოდებს, უშუალოდ თვითონ ეცნობიან ბუნებაში ამა თუ იმ მცენარისა და ცხოველის ადგილსამყოფელს, ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთკავშირს, ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებსა და მათს განლაგება-გავრცელებას, სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მცენარეებისა და ცხოველების რესურსებსა და გავრცელებას, ბიოცენოზებსა და მათს ურთიერთ ზეგავლენას, ცალკეულ ბიოტოპებსა და სხვ.

სასწავლო პრაქტიკის დროს სტუდენტი პრაქტიკულად აღრმავებს და ამტკიცებს იმ თეორიულ ცოდნას, რომელიც მან უნივერსიტეტში მიიღო ლექცია-პრაქტიკუმების გავლისას, ამყარებს კავშირს თეორიასა და პრაქტიკას შორის. ამიტომაა, რომ ამ ფრიად დიდმნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ღონისძიების წარმატებით ჩატარების მიზნით ხელმძღვანელებად გამოყოფილნი არიან ამ საქმეში მეტად გამოცდილი მასწავლებლები—დოც. ლ. კუტუბიძე, დოც. დ. მელაძე, დოც. ქ. გაჩეჩილაძე, დოც. ლ. ნათაძე, ასისტენტი თ. ჯიბლაძე და სხვ.

სასწავლო პრაქტიკა ტარდება საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, სახელდობრ, I კურსი სასწავლო პრაქტიკას გადის თბილისისა და ბათუმის მიდამოებში, II კურსი—თბილისის მიდამოებსა და ბორჯომის რაიონში.

სასწავლო პრაქტიკა ტარდება კომპლექსურად — ბოტანიკასა და ზოოლოგიაში. ამას ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სტუდენტი ბუნებაში ერთდროულად ეცნობა მცენარისა და ცხოველის ურთიერთ კავშირსა და ზეგავლენას, ბიოცენოზის კომპლექსს, ბიოტოპების როლს ორგანიზმის გავრცელებისა თუ არსებობისათვის და სხვ. სტუდენტი სრულ წარმოდგენას ღებულობს მცენარეთა და ცხოველთა ეკოლოგიურ თავისებურებებზე და სხვ.

III კურსის სტუდენტებს უტარდებათ სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა. წელს პირველად, სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა მესამე კურსელებთან ტარდება ცალკე სპეციალობების მიხედვით: ბოტანიკაში, ზოოლოგიაში, მცენარეთა ფიზიოლოგიაში, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიაში. ამ პრაქტიკას ხელმძღვანელობას უწევენ დოც. გ. ჟაველიძე, ასისტენტები: ვ. ტყეშელაშვილი, ნ. ჭიჭინაძე, ქ. ბექაია, ა. ერქომაიშვილი და სხვ.

სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა ბოტანიკასა და ზოოლოგიაში აგრეთვე კომპლექსურად ტარდება ლაგოდეხის რაიონსა და სოხუმის მიდამოებში, ხოლო დანარჩენ სპეციალობებში—სათანადო ლაბორატორიებსა და საცდელ სადგურებში.

IV კურსის სტუდენტებს უტარდებათ საწარმოო პრაქტიკა. სტუდენტები ამჟამად იმყოფებიან ამა თუ იმ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, სადაც ეცნობიან და ეუფლებიან ამ დაწესებულებათა მუშაობას, სწავლობენ კვლევის მეთოდებსა და სხვა. „საწარმოო პრაქტიკის ბაზებია სოხუმში (ბოტანიკური ბაღი, მაიმუნთსაშენი, საცდელი სადგური), ბათუმში (ბოტანიკური ბაღი, საკარანტინო სადგური, თევზმრეწველობის სადგური), ბორჯომსა და ლაგოდეხში (ნაკრძალები), თბილისში (ბოტანიკის, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის, ზოოლოგიისა და მცენარეთა დაცვის ინსტიტუტები, ბოტანიკური ბაღი, ზოოპარკი და სხვა).

საყურადღებოა, რომ ყველა სახის პრაქტიკებზე სტუდენტები 100 პროცენტით ცხადდებიან. ეს გასაგებიცაა: მათ ესმით ამ პრაქტიკის დიდი მნიშვნელობა ბიოლოგიის სპეციალისტად მათი ჩამოყალიბების საქმეში.

სასწავლო და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ნორმალურად ჩატარებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ფაკულტეტს არა აქვს თავისი მუდმივი ბაზები ამა თუ იმ რაიონში. მაგრამ ამ მიმართ უნდა აღინიშნოს ის დიდი დახმარება, რომელიც აღმოგვიჩინა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, რომლის განკარგულებითაც ჩვენ პრაქტიკის ჩასატარებლად ბინები გამოგვიყვეს ბორჯომის, ბაკურიანის, ბათუმის, სოხუმისა და ლაგოდეხის სკოლებში.

სასწავლო პრაქტიკის ნორმალურად ჩატარების საქმეში ხელს გვიშლის აგრეთვე ის გარემოება, რომ რიგ დისციპლინებში არა გვაქვს სარკვევები, მეთოდური სახელმძღვანელოები საველე პრაქტიკისა და ექსკურსიების ჩატარების შესახებ და სხვ. ასე მაგალითად, უხერხემლოთა ზოოლოგიაში არ მოგვეპოვება არც ერთი ტიპისა თუ კლასის სარკვევი, ხერხემლიანთა ზოოლოგიის ხაზით არ გვაქვს თევზების, ამფიბიებისა და ფრინველების სარკვევი. სარკვევები არა გვაქვს აგრეთვე ბოტანიკის რიგ სპეციალობებში. სარკვევები კი მეტად აუცილებელი სახელმძღვანელოა, არა მარტო საველე პრაქტიკის ჩატარებისათვის, არამედ პრაქტიკუმებისთვისაც.

იმედი გვაქვს, რომ სათანადო კათედრები თავიანთ გადაუდებელ ამოცანად გახდიან სარკვევების შედგენისა და გამოცემის საქმეს, იმ ვარაუდით, რომ მომავალი სასწავლო პრაქტიკა უზრუნველყოფილი იყოს უმთავრესი სარკვევებით მაინც. ამისი საშუალება და შესაძლებლობა კათედრებს აქვთ, საჭიროა მხოლოდ მონდომებული მუშაობა. ასევე ითქმის მეთოდური სახელმძღვანელოების შესახებაც.

დოც. ა. ჯანაშვილი
ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.

ლიტერატურული გვერდი

ვახტანგ ჯავახაძე

კეთილი ფიქრები

ღია სარკმელში შუქი ანთია,
ვინც უნდა იყოს სახლის პატრონი,
მე მიხარია,
ქუჩას ლანდიანს
მივუყვები,
ხენი დგანან მარტონი.
ყეშხერ ფანჯარას ცისფერფერადიანს,
თავაწეული მოვდივარ ლაღად,
სარკმელში შუქი ასევ ანთია,
მაშასადამე, კეთდება რაღაც.
იქ შეიძლება ცხოვრობდეს ხურო
და ჯერ მოსული სახლში არ იყოს,
პატარა გოგო ხატავდეს ურემს,
რომ დაახვედროს თავის მამიკოს;
ან და ყმაწვილი სწავლობდეს ზეპირ
ხვალის გაკვეთილს,
აქვე ფოდავე;
პატარა ბურთზე ჩხუბობდნენ ძმები,
უჯავრდებოდეს დედა ორთავეს;
ან შეიძლება ელისფერ ნამად
უკვე დაღვარეს ცრემლები ხშირი,
ბავშვებს ცოცხალი არ ჰყავდეთ მამა —
კედელზე ენთოს სურათი გმირის;
ან ამძიმებდეს სავარძელს რიგის
და იგონებდეს ნეტარ ბავშვობას
კაცი, რომელმაც დაწერა წიგნი
და შვილიშვილებს ეთამაშება...
ვინც უნდა იყოს...
ცისფერფარდიდან
სარკმელს ვუცქერ,
მახარებს ახლა, —
რომ ფანჯარაში შუქი ანთია
და სასარგებლო კეთდება რაღაც.

მართალი ბავშვი

ბავშვმა წარბები შეჰყარა წამით,
თვალებში უდგა ფერები ზღვათა;
როდესაც ვკითხეთ სახელი მამის,
გვითხრა:
— მამიკო წავიდა სხვასთან...
გაწითლდა უცებ,
რცხვენოდა ძლიერ,
ვეღარ დამალა სევდა ფარული,
ახნდა გოგონას უწყინარ იერს
დაღი მშობლების დანაშაულის.
უნდა გაიხსნას შეკრული წარბი
ღიმილით დღეთა ჩვენთა ბადალით...
ტოლებს უმზერდა თვალებით ხარბით
ბავშვი მართალი.

ტარიელ ჭანტურია

* * *

გაზაფხულის წიგნს ფურცლავს
მერცხალი
და პირველ გვერდზე იას კითხულობს,
ნაკადულები კლდეებს რეცხავენ,
ხარახოებზე დგას კირითხურო.
მოლმა მოჩითა მთანი და კორდნი,
ჩქერებში ფაცერს უდგამენ კალმახს,
კოდალა კაკალს უწყალოდ კორტნის,
კოდალას კენჭი ესროლა ქალმა.
ველი იონჯა ბალახით ირთვის,
მთა მკერდს უფლეხავს სხივების არილს
და სავარსო გაზაფხულისთვის
აპრილი სთესავს ატმების ყვავილს.

ნოდარ დუმბაძე

სოფლელი ძმობილი

იენისის წყლით მწყერისფერ ბალახს ალურჯებს,
ბიჭი ენოში ნაწვიმარზე ფრთხილად აბიჯებს,
მეზობლის ბაღში მოიპარავს მწვანე ალუჩას
და ჩემს გოგონას ორლობეში მიიპატიჟებს.
ალებს წისქვილს, მტრედს მოუყვანს თეთრს და ლულუნას,
ოღონდ ინატროს მანანამ და რას არ გაუჩენს,
დაუდგამს ოდას, ლამის ლელს გადაუწურავს
და ლორჯოების ჟაღლითა დაახარუქრებს.
გვირგვინს დაუწნავს იებით და იასამნებით,
გააცნობს სოფლის ყველა მურებს, ყველა მროლებს.
გულს გაუხარებს დამანთული ჩალამ-კალმებით
და ჩემს ურუმრად ფილთა თიშსაც გაახარალიტებს.
გადის ზაფხული ბედნიერი, ალერსიანი...
ქარი ხიმღერით შემოდგომის ფურცელს გადაშლის...
დგას ჩემი გოგო ალაგებთან თვალცრემლიანი
და სოფლელ ძმობილს იპატიებს დედაქალაქში.

ის მოვა შენთან

შენ, ალბათ, ახლა მზესუმზირას მარცვლავ კალთაში,
ან ერთად მღერით ყოლგის პირას შენ და ბუნება,
მერე მესამედ გადაკეთხულ წერილს გადაშლი
და ყოველ ღამე ელოდები მის დაბრუნებას.
მან დაგიტოვა დამანთული ლერწმის ღერო და
ჯრცელი წერილი შეცდომებით, შენ რომ გაწვალებს...
მოვიდა, ცეცხლი მოგიტანა საქართველოდან,
წავიდა, გითხრა — დავბრუნდები, შენ გენაცვალე.
იგი დაეცა ცხელი ტყვიით მკერდგაღურსმული,
ახსენა დედა, შენ გახსენა, მერე მარაბდა...
მკერდზე ღიმილით მიიხუტა მიწა რუსული
და გარიგრაგზე, გარიგრაგზე შემოადამდა...
შენ იხევ ელი, იხევ ელი ყოველდღე მზარგაშლილს,
გადის ზაფხული, შემოდგომაც მიდის, ხუნდება ,
ის მოვა შენთან, როგორც სითბო მოვა ზამთარში
და გაზაფხულზე ყვავილებად დაგიბრუნდება...

გივი გეგეჭკორი

ლექსი ლექსის შესახებ

ამ საღამოთი მეზობლებით აივსო სახლი
და ლექსის წერას ამაოდ ვცდილობ,
დედა მეათედ მეველრება ქალალდზე დახრილს:
ხვალ დილით ადრე უნდა ადგე, დაწექი შვილო...
რა დამემართა,
თითქოს ქალალდს ვექიდავები,
მე ამ ხმაურში ვერ დავწერე ერთი ტაეპი.
ომების დღეთა პოეტებო,
თქვენ გეკითხებით,
თვითონ მელექსე და ლექსების ერთი მკითხველი.
მეოცე წელში გადმოსული ერთი ყმაწვილი,
თქვენი პატარა წიგნის ფურცლებს ოდეს გადავშლი,
არ გაგულისოთ,
მიკვირს ხოლმე როგორ დაწერეთ
იმ აზარბაზნების კანონადაში.
ომების დღეთა პოეტებო,
ქართველი კაცი,
თქვენს მიერ ომში ამღერებულ სტრიქონებს ვუმზერ,
მე ყველა ჩემს ლექსს
იმ პატარა ერთ ლექსში გავცვლი,
რომელიც სისხლით დაიწერა
სავალე ყუთზე.

ყინულებქვეშ მოწანწკარე მდინარეები და შენი ბავშვობა

ახლა ველებზე ქარები თუ იარებიან
უსახლკაროდ და უპატრონოდ მოწანწალენი,
თოვლი მოვიდა
ყველა სოფლის მდინარეები
მხოლოდ და მხოლოდ
ყინულქვეშ მოჩანწკარებენ.
ეზოს ბაღლები მეეზოვეს ცოცხსა ჰპარავენ,
თოვლის ბაბუას უკეთებენ თვალებს ნახშირით,
რა საჭიროა, განა რა მაქვს დასაფარავი,
მეც მიხარია თოვლი ბავშვივით.
მე ეს ბავშვები შენს ბავშვობას არ მაგონებენ,
მე შენს ულრუბლო ბავშვობაზე არა ვიცი რა,
შენი ბაღლობა,
ისე როგორც სხვა გოგონების,
არ მეყოლოდა,
რომ მეკოდნოდა,
ალბად სიცილად.
არა მგონია, ყოფილიყავ წყნარი და მშვიდი,
აგატირებდა ალბათ მცირედიც,
საკუთარ პირში დაკეცლებულ ფეჩრულა თითით,
შენც ფეხსაცმლებს უსათუოდ მტვერს აცლიდი.
შავტუხა გოგოს გიხდებოდა ალბათ სიცილი,
რადგან, ძვირფასო,
ეგ სიცილი მოგყვა აქამდის,
ასე მგონია,
თორემ ისე არა ვიცი რა,
როგორ დაიშვენდი, როგორ დაქალდი,
პატარა ბავშვი როგორ დადექ სიყრმის კარებთან,
თვალებში ცისკრის შუქი როგორ ინათესავე,
შენი ბავშვობა ჩემთვის ჩუმად მოჩანწკარებდა
ყინულით ფარულ
ყველა სოფლის
მდინარესავით.

ლეილა სულხანიშვილის „საბავშვო მოთხრობები"

მე რატომღაც მგონია, რომ ლეილა სულხანიშვილს პირადად ბევრი არ იცნობს უნივერსიტეტში, იმდენად ჩუმი და მოკრძალებულია იგი. ბევრი ალბათ არც დაიჯერებს, რომ ეს ტანმორჩილი და ბავშვივით გულუბრყვილო გოგონა ფილოლოგიის ფაკულტეტის უკანასკნელ კურსზე გადადის და ერთ-ერთი წარჩინებული სტუდენტია.

ლეილასათვის დამახასიათებელი თავმდაბლობა და მოკრძალება როგორღაც თითქოს მის შემოქმედებაშიაც მჟღავნდება. მისი უპრეტენზიო, პატარა საბავშვო მოთხრობები საკმაოდ დიდ პროფესიულ ოსტატობასა და მხატვრულ ძალას ამჟღავნებს.

ლ. სულხანიშვილი ეკუთვნის იმათ რიცხვს, რომლებიც ჩვენი უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრემ აღზარდა. ამ წრეში მოიტანა მან თავისი პირველი მოთხრობები, რომლებმაც ერთბაშად მიიქცია ყურადღება ბავშვთა სულიერი სამყაროს ცოდნით და განსაკუთრებით მდიდარი პოეტური ენით. მეგობრებმა ურჩიეს ლეილას და თითქმის ძალით გააგზავნინეს ეს მოთხრობები საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებთა რესპუბლიკურ კონკურსზე.

მოლოდინი გამართლდა და ლეილა სულხანიშვილის მოთხრობებმა აღნიშნულ კონკურსზე პრემია დაიმსახურა. მალე ამის შემდეგ ეს მოთხრობები დაიბეჭდა ჩვენს ალმანახ „პირველ სხივში". ლ. სულხანიშვილმა ზოგიერთი მოთხრობა გამოაქვეყნა აგრეთვე საბავშვო ჟურნალ „დილაში", ამ რამდენიმე ხნის წინათ კი მისი „საბავშვო მოთხრობები" ცალკე წიგნად გამოსცა საბლიტგამმა.

სამწუხაროდ, ლ. სულხანიშვილის ამ მოთხრობებს ჯერ არ გამოხმაურებია ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა, ცენტრალური პრესა. თვითონ წიგნი კი სულ ერთ თვეში გაიყიდა და ნორჩი მკითხველების მოწონებაც დაიმსახურა.

ლ. სულხანიშვილის საბავშვო მოთხრობები განკუთვნილია სკოლამდელი ასაკისათვის. აქ არის მოთხრობები ცხოველთა და ფრინველთა სამყაროდან, რაც ასე ძლიერ აინტერესებთ პატარებს. ამ მოთხრობებში განსაკუთრებით ხაზგასმულია სხვადასხვა არსებათა დედობრივი სიყვარულის გრძნობა, ნაამბობია, თუ როგორ უყვარს ცუგას თავის ლეკვები, როგორ უვლის თხა „ბეკო" პატარა ციკნებს.

„მზია სოფელში" — ასეთი სათაური აქვს მოთხრობათა რკალს, რომელშიაც გადმოცემულია, თუ როგორ ეცნობა პატარა მზია სოფლის ეზოს სამყაროს, რას ხედავს ან რას განიცდის აქ იგი. პატარა გოგონა ხიფათსაც ვერ ასცდა. ჯერ ბატები გამოედევნენ, მერე ფუტკარმაც უკბინა... ყოველივე ეს ნაამბობია სადად, მიმზიდველად, ბავშვისათვის გასაგებად და საინტერესოდ.

ლ. სულხანიშვილის საბავშვო მოთხრობათა პირველი წიგნი უეჭველად კარგი ნობათია ჩვენი პაწაწინა მკითხველებისათვის.

ზ. ჭუმბურიძე

ჯანსუღ ჩარკვიანი

ლაჟვარდის პირას

შენ, ვაზი სილურჯეთი
ეჯიბრება ცას.
თონჯა და ვენახიანი
დაუფარავს ცვარს.
მაღლა მწვანე ტევრი არი,
გაღმა მიჰყვება გზას,
ვაზი სავსე მტევნიანი
უძლერებს ვაზს.
ხეივანი დაჯარული,
ალუბალი მწიფე,
მიადაჯებს ლაჟვარდი
და მაგონებს წიგნს,
ტალღა ტალღას მისდევნია,
ასოები — წვიმს,
ასოები — მზეებია,
უძმობენ ხალხს,
წინათ როგორ შეხვდნიან,
უხამობიურულ ხალს.
ქეხს მდინარე ლაჟა-ლუწჯით,
და მოარხევს წელს,
დღეს სითავე ლაჟვარდის
მომავლის წიგნს წერს.

ოთარ ჭილაძე

ნაფეხურები

გაუფრინდება მზეს ოქროს სხივი,
დაბურულ ტყეებს წვეთებად...
მზეს ეფიცება ხვინდი თავის
და ქზო-ყურეს ხვეტავს დილიდა.
ჩემი მდინარე ნაპირებს გასცდა,
ჩვილი ჩლიქები დაბანა წვეროს,
და მარმან ამ დროს ბავშვი რომ
გაჩნდა,
ეზოს ბილიკზე დასულა უკვე
ცა არის დიდი,
დღე არის სავსე —
მზით, ყვავილებით და ბელურებით...
მიდის პატარა და ებღაც გზაზე
როგორ იზრდება ნაფეხურები.

ემზარ კვიტაიშვილი

მისალმება გაზაფხულთან

ყელი მოიღერა ენძელამ,
ნეტავი სად იყო აქამდე?!
ფერდობებს სამოსი ეძველათ,
ზვავები ხევებში დაქანდნენ.
ატმზე კვირტები სკდებიან,
ორბები უვლიან საორბეს
და და ენძელა დებია,
დებია და რატომ დაობენ?!
მოდი და სხვა რამე ინატრე,
მტრედები ცის თავანს უვლიან,
მერცხალი სულ რომ არ ფრინავდეს
მე ვიტყვი — „დღეს გაზაფხულია!"
მდინარე თამაშობს კვიციით,
ილერება სერნელი იათა,
ენძელა ტირის და იცინის,
სიცოცხლის ხალისმა იათა.

ზღვა და აჭარა

ფრთაქნეულმა თოლიამ
გადაუფრინა ქარაფებს,
ზღვა ქარით ანაფრთოლია,
გული არ ნაღვლობს არაფერს.
აჭარეებულან კბოდენი,
რა ქედებია რა ჰალა,
ტალღები — მთებისოდენა
ეს რა უოფილა აჭარა!
მზე ნარინჯებში ჩაკარდა,
ნისლი წამოდგა ადრიან,
კლდეების თავზე ედგავარ და
დავყურებ მიწას მადლიანს.
სამოთხე სულ სხვაგვარია,
სხვაა, სულ სხვაა აჭარა,
ეს ქარი რამ გადარია,
ეს ზღვა რამ აამჯერა?!

ასპირანტები აბარებენ გამოცდებს

უმაღლესი სკოლისათვის ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ის გამოცდები, რომლებსაც ასპირანტები აბარებენ, არ არის ჩვეულებრივი გამოცდები. ეს გამოცდები საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებულ საგნებში ტარდება და ამიტომ მათი ჩაბარების დროს ყოველ ასპირანტს მოეთხოვება არა მარტო შესაწავლი დისციპლინის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, არამედ დამოუკიდებელი მეცნიერული აზროვნების და კვლევის უნარის გამოვლინება.

გასულ წელს ასპირანტურაში მიღება სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით ჩატარდა. მიღებულ იქნენ ასპირანტები ფიზიკის, მათემატიკის, ფილოსოფიის, ქიმიის, ფილოლოგიის და სხვა განხრით.

მათი უმრავლესობა ასპირანტურაში ჩარიცხვისთანავე შეუდგა ასპირანტის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალების დამუშავებას და საკანდიდატო მინიმუმში შემავალი საგნების მომზადებას.

არსებული დებულების თანახმად ასპირანტი ვალდებულია წლინახევრის განმავლობაში კათედრის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით ჩააბაროს საკანდიდატო მინიმუმის საგნები, მაგრამ ბევრმა მათგანმა გადაწყვიტა გამოცდები ვადაზე ადრე ჩაებარებინა. ასე, მაგალითად, ვ. მიხაილოვმა, შ. მირიანაშვილმა, ო. ნადარეიშვილმა და გ. ხუხუნაიშვილმა დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში გამოცდა ხელმძღვანელი კურსის დამთავრებისთანავე ჩააბარეს, მაშინ, როდესაც მათ ამ საგანში გამოცდის ჩაბარება მომავალი სასწავლო წლის დასაწყისშიც შეეძლოთ.

აღსანიშნავია, რომ ასპირანტთა უმრავლესობამ უკვე ჩააბარა და ახლაც აბარებს გამოცდებს უცხო ენასა და დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში.

წარმატებით აბარებს გამოცდებს ასპირანტი ნ. კეკელიძე. მან უკვე ორი გამოცდა ჩააბარა, ერთი — ინგლისურ ენაში და მეორეც — დიალექტიკურსა და ისტორიულ მატერიალიზმში. მას განზრახული აქვს, რომ 25 ივნისისათვის ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ საგანში — ნახევარგამტარების ფიზიკაში. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში მას მხოლოდ ერთი საგანიღა დარჩება ჩასაბარებელი.

ასპირანტები გამოცდებზე მაღალ მომზადებას და კარგ ცოდნას ავლენენ, რასაც მათ მიერ მიღებული ნიშნები მოწმობენ.

უმრავლესობა „ფრიადი" და „კარგი" — ასეთია მათი აკადემიური მაჩვენებლები.

ქ. ოვანოვი

საგამოცდო გამოცდებზე

ჩვენი უნივერსიტეტი ყოველწლიურად სამშობლოს აძლევს რამდენიმე ათეულ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს. სპეციალისტთა მომზადების დონე და ხარისხი სულ უფრო და უფრო მაღლდება, რასაც ნათლად ადასტურებს კურსდამთავრებელთა პასუხები სახელმწიფო გამოცდებზე.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა ფილოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს პროფ. მ. ჩიქოვანს.

ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებას წელს ორმოცდაათზე მეტი კაცი ამთავრებს. კურსდამამთავრებლებმა უკვე ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდა ქართულ ენაში. გამოცდების შედეგი ნათლად მეტყველებს ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების მაღალ დონეზე: 54 კაციდან ოცდაორმა უმაღლესი ნიშანი — „ფრიადი" დაიმსახურა, ათმა — „კარგი", მხოლოდ ორმა მიიღო არადამაკმაყოფილებელი შეფასება.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრებზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ც. თოდუას, გ. კიკნაძის, მ. გიგინეიშვილის, გ. ციცქიშვილის, ღ. ჩხუბიანიშვილის და სხვათა ღრმა, მოფიქრებულმა და ღრმა პასუხებმა.

გამოცდის წინ ჩატარდა წერა, რის დროსაც კურსდამამთავრებლებმა მაღალი წერითი კულტურა გამოამჟღავნეს. სტილისა და საგნობრივ შინაარსის წერის მრავალწლიანმა პრაქტიკამ ამ მხრივ უეჭველად დიდი და ნაყოფიერი გავლენა მოახდინა.

სახელმწიფო გამოცდაზე გამოსულთა პასუხებში, — აღნიშნა პროფ. მ. ჩიქოვანმა, — იგრძნობოდა საგნის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, მსჯელობის უნარი. უმრავლესობა ეყრდნობა არა მარტო საპროგრამო საკითხებში, არამედ ამჟღავნებს სპეციალური ლიტერატურის კარგ ცოდნასაც და ზოგჯერ ორიგინალურ დაკვირვებებსაც იძლევა. ყოველივე ამაში უეჭველად დიდი როლი შეასრულეს, ზოგად ლექციებთან ერთად, სპეცკურსებსა და სპეცსემინარებსაც, რასაც უნივერსიტეტში ყოველ კურსზე სათანადო ადგილი აქვს დათმობილი, აგრეთვე სტუდენტთა მუშაობას სამეცნიერო წრეებში.

საერთოდ, კურსდამამთავრებელთა მომზადების დონე კარგია, განსაკუთრებით სასიამოვნო კი ის არის, რომ ეს დონე ყოველწლიურად მაღლდება, — განაცხადა დასასრულ პროფ. მ. ჩიქოვანმა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია თავმჯდომარეობს სახელმწიფო საგამოცდო კომისიას ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ძირითადი ნაკლი

11 ივნისს ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული განყოფილების III კურსის I ჯგუფი აბარებდა გამოცდას სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის ისტორიაში. სასწავლო წლის განმავლობაში ეს კურსი საერთოდ კარგად ესწრებოდა ლექციებს, სტუდენტები იდგენდნენ ლექციების კონსპექტებს, ამავე დროს პირველწყაროებსაც სისტემატურად კითხულობდნენ. ამის შედეგად ჯგუფმა ძირითადად საგნის კარგი, საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნა. 19 დაწერილი ნიშნიდან 11 „ფრიადია", 6 — „კარგი" და 2 — „დამაკმაყოფილებელი".

დამსახურებულად მიიღეს ხუთიანები სტუდენტებმა ნ. დავიდოვმა, ა. იაკუბოვიჩმა, ე. კარაპეტიანმა, ე. ვენინგმა, გ. თუმანიშვილმა, ი. ლაზარევმა და სხვებმა. ამ სტუდენტების წარმატება ძირითადად იმან განაპირობა, რომ ისინი არ შემოფარგლულან ლექციების კონსპექტებით და ღრმად შეისწავლეს პირველწყაროები — შევჩენკოს, პანას მირნის, ფრანკოს, ლესია უკრაინკას, იანკა კუპალას, იაკუბ კოლასის, კოციუბინსკის, ტიჩინას და სხვათა ნაწარმოებები, აგრეთვე კრიტიკული ლიტერატურა მათ გარშემო.

სტუდენტთა მომზადების ძირითად ნაკლად რჩება მაინც მხოლოდ და მხოლოდ კონსპექტებით შემოფარგვლა. ზოგი მათგანი იზეპირებს მხოლოდ ლექტორის მიერ მიწოდებულ მასალას და ისე მიდის გამოცდაზე. ეს კი, რასაკვირველია, სრულიადაც არ არის საკმარისი ისეთი დარგის შესასწავლად, როგორიცაა ლიტერატურა. აქ მთავარია თვით ნაწარმოებების ტექსტების ცოდნა, მათი გარჩევა კრიტიკულ მასალაზე დაყრდნობით და არა მარტო ნაწარმოების იდეური მხარის გარჩევა, რასაც ძირითადად სწორად და კარგად აკეთებენ ჩვენი სტუდენტები, არამედ ნაწარმოებთა მხატვრული თავისებურებების, მხატვრული ხერხების გამოვლინება და შეფასება, რასაც სტუდენტები ჯერ კიდევ საკმაოდ მოიკოჭლებენ.

თ. გვარამაძე

სტუდენტები არდადეგებზე

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა გარკვეული ნაწილი ზაფხულის საგამოცდო სესიების დამთავრების შემდეგ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კურორტებზე დაისვენებს, რათა პირველ სექტემბერს ახალი ენერგიით შეუდგეს სწავლის გაგრძელებას. სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი კულტურული დასვენებისა და ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნავი და ისტორიული ადგილების დათვალიერების მიზნით მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ექსკურსიებში, როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, ისე მის გარეთ.

ზაფხულის არდადეგების პერიოდში სტუდენტთა კულტმომსახურების მიზნით უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკომმა და კომკავშირის კომიტეტმა პარტიულ კომიტეტთან ერთად შეიმუშავეს კალენდარული გეგმა, რომელიც მრავალფეროვანსა და საინტერესო ღონისძიებებს ითვალისწინებს. ასე, მაგალითად: 1-5 ივლისს მოეწყობა მოწინავე სტუდენტთა ექსკურსია ქ. ერევანსა და ბაქოში, სადაც ექსკურსანტები დაათვალიერებენ აღნიშნული ქალაქების ღირსშესანიშნავ ისტორიულ ადგილებს. ივლისის პირველ ნახევარში მოეწყობა ექსკურსია საქართველოს ისტორიული ადგილებისა და სამრეწველო ცენტრების დასათვალიერებლად შემდეგი მარშრუტით: რუსთავი, მცხეთა, საგურამო, ზედაზენი, ჯვარი, შიომღვიმის მონასტერი, საგურამო, ქუთაისი. ექსკურსიები მოეწყობა აგრეთვე თბილისის ისეთი სამრეწველო ცენტრების დასათვალიერებლად, როგორიცაა კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, მაუდკამვოლის ფაბრიკა, ტრიკოტაჟის კომბინატი, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა. სტუდენტთა ნაწილი დაათვალიერებს კომუნალურ მუზეუმს, დაათვალიერებენ და გაეცნობიან მახარაძის სახელობის ორთაჭალის კოლმეურნეობას. 25-30 ივნისს I და II კურსელ სტუდენტთათვის მოეწყობა მასობრივი გასვლა ბეთანიაში. ივლისის ბოლო რიცხვებში ჩატარდება ექსკურსია ქ. ორჯონიკიძეში, სადაც ჩვენი სტუდენტები იხილავენ საქართველოს სამხედრო გზის თვალწარმტაც სილამაზეს, გაეცნობიან VI საუკუნის მშენებლობებს — დარიალის და სხვა.

არდადეგების პერიოდში მოეწყობა აგრეთვე ექსკურსია მარშრუტით: თბილისი — ბათუმი — სოხუმი. ექსკურსანტები, ბათუმიდან სოხუმამდე გემით იმგზავრებენ. მოეწყობა ექსკურსია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, მოეწყობა დასვენების დღე „თბილისის ზღვაზე" და სხვა.

შემუშავებულია გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით ახალგაზრდობის საღამოს მოწყობას. ეს საღამო, რომელშიაც ჩვენი სტუდენტების გარდა მონაწილეობას მიიღებენ სხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიც (ისინი მოწვეული იქნებიან როგორც სტუმრები), ჩატარდება 28-29 ივნისს. საღამო, რომელიც ორ დღეს გაგრძელდება, მეტად საინტერესო იქნება. კერძოდ, 28 ივნისს სპეციალისტთა ახალი კადრების გამოშვებასთან დაკავშირებით მოეწყობა მიტინგი, სადაც კურსდამთავრებულ სტუდენტებს მიესალმებიან უნივერსიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, სიტყვებით გამოვლენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სტუდენტები, მოხდება მოწინავე ახალგაზრდების დაჯილდოება. საღამოს დასასრულს უნივერსიტეტის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ძალებით გაიმართება კონცერტი.

29 ივნისს მოეწყობა სპორტული საღამო, სადაც ნაჩვენები იქნება უნივერსიტეტის სპორტსმენთა მიღწევები, მოეწყობა ჩვენი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა და ფრენბურთელ სპორტსმენთა შეხვედრა. მოხდება სპარტაკიადაში გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოება. საღამოს გაიმართება სტუდენტთა დიდი კარნავალი.

ჩვენი სტუდენტობა ზაფხულს შინაარსიანად გაატარებს.

ვ. ჯანჯღავა,
უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკომის თავმჯდომარე.

სასარგებლო დამხმარე სახელმძღვანელო



ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა პროფ. ნ. ქოიავას წიგნი — „კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი", ნაწილი პირველი (რედაქტორია დოც. ქ. ნიკოლაიშვილი).

აღნიშნული წიგნი განკუთვნილია საფინანსო ეკონომიური ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოდ. წიგნში მოცემული საკითხები შერჩეული, ფორმულირებული და დალაგებულია სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ახალი პროგრამის მიხედვით.

წიგნში განხილულია შემდეგი საკითხები: I. ფულის არსი და ფუნქციები, II. სესხის კაპიტალი და კრედიტი, III. ფიქტიური კაპიტალი და საფონდო ბირჟა, IV. კომერციული ბანკები და საბანკო ოპერაციები, V. საემისიო ბანკები და საბანკნოტო მიმოქცევა, VI. ფულადი სისტემები, VII. ქაღალდის ფული და ინფლაცია, VIII. საგადასახადო ბალანსი, სავალუტო კურსი და საერთაშორისო კრედიტი.

წიგნის შესავალში მოცემულია ფულის მიმოქცევისა და კრედიტის კურსის განსაზღვრა, ამ კურსის კავშირი მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკურ ეკონომიასთან.

პირველ თავში ავტორი გადმოგვცემს ფულის წარმოშობას, მის არსსა და ფუნქციებს. აქვე იხილავს ფულის როლს კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში და კაპიტალიზმის დროს. ამ თავში დაწვრილებითაა განხილული ფულის ხუთივე ფუნქცია, როგორც ფულის არსის გამოვლინების ფორმა.

კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევისა და კრედიტის კურსის დანარჩენი საკითხები (ფულისა და კრედიტის ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა, ფულად-საკრედიტო კრიზისები, ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი და სხვა) შეტანილი იქნება მეორე ნაწილში, რომელიც ცალკე წიგნად გამოვა.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული დამხმარე სახელმძღვანელოს ორივე ნაწილის ერთ წიგნში მოთავსება. ეს უკეთესი იქნებოდა, როგორც წიგნის მთლიანობისათვის, ისე ამ წიგნის პრაქტიკულად გამოყენებისათვის.

ავტორი თავის შრომაში საკითხების გაშუქებისას ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებს, საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ყრილობების, კონფერენციებისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, სტატისტიკურ კრებულებსა და ამ საგნის ხაზით გამოცემულ სპეციალურ ლიტერატურას.

სახელმძღვანელოს გაცნობით ვრწმუნდებით, რომ იგი შესრულებულია ავტორის მიერ ამ დარგში ჩატარებული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად. შრომაში განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას ისტორიული მაგალითების, ფაქტებისა და ციფრობრივი მასალების კარგად გამოყენება, რომელიც დიდად უწყობს ხელს ამა თუ იმ თეორიული საკითხისა და დებულების ღრმად და საფუძვლიანად ათვისებას.

წიგნში საილუსტრაციო მასალად გამოყენებულია როგორც კაპიტალისტური ქვეყნებისა და რევოლუციამდელი რუსეთის, ისე ძველი საქართველოს ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ისტორიიდან აღებული მასალები.

პროფ. ნ. ქოიავას აღნიშნული წიგნი ქართულ ენაზე დაწერილი პირველი ორიგინალური დამხმარე სახელმძღვანელოა კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევისა და კრედიტის დარგში. აღნიშნული წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობის სტუდენტებს, აგრეთვე ფულისა და კრედიტის თეორიით დაინტერესებულ სხვა პირებს.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფინანსებისა და კრედიტის კათედრა ამჟამად მუშაობს სხვა დამხმარე სახელმძღვანელოების გამოსაცემად მომზადებაზე. მაგალითად, კათედრას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმით გათვალისწინებული აქვს, რომ 1957 წლისათვის მოამზადოს და გამოსცეს დამხმარე სახელმძღვანელო — „ფინანსები და კრედიტი". ეს სახელმძღვანელო იწერება ავტორთა კოლექტივის მიერ, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პროფ. ნ. ქოიავა, დოც. ვ. ჩანტლაძე, დოც. ქ. ნიკოლაიშვილი და დოც. ა. კაკაბაძე.

ზ. ხელაია

რედაქტორი ის. ვეზაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 8-29-68.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. შეკვეთა 1080. უე 05306.